



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2011 წლის 16 მარტის
 № 630 დადგენილებით
მოდულიზებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2013 წლის 8 ოქტომბრის
 № 984 დადგენილებით

სარკინიგზო გადამზიდავი
Railway Cargo Carrier - 040754
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. პროფესიული პროგრამის სახელწოდება: სარკინიგზო გადამზიდავი (Railway Cargo Carrier)

II. პროფესიული განათლების საფეხური: მეხუთე (Fifth)

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სარკინიგზო გადამზიდავის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (Railway Cargo Carrier fifth stage professional qualification)

IV. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ)

სულ 1500 საათი, აქედან:

36 კრედიტი (900 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის. მათ შორის: ლექცია/პრაქტიკული - 420 სთ; ლაბორატორიული - 15 სთ; დამოუკიდებელი მუშაობისათვის - 377 სთ.; შუალედური/დასკვნითი შეფასება - 88 საათი.

24 კრედიტი (600 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის.

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად

VI. პროფესიული პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს მეხუთე საფეხურის სარკინიგზო გადამზიდავი, რომელსაც შეუძლია: შუალედური, საუბნო, დამხარისხებელი, სატვირთო და სამგზავრო სადგურების მუშაობის ორგანიზება და მიმდინარე სატრანსპორტო პროცესების ოპერატიული მართვა; ტექნიკური სადგურების ცალკეული ქვესისტემების სტრატეგიული მართვა, ოპერატიული სიტუაციების კონიუნქტურის გათვალისწინებით; რკინიგზის უბნებზე მატარებელთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გატარების უზრუნველყოფა.

VII. სწავლის შედეგი:

მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>იცის რკინიგზის სადგურის მოწყობილობები და მუშაობის ტექნოლოგია; ვაგონაკადების ორგანიზაცია და ფორმირების გეგმა; მატარებელთა მოძრაობის გრაფიკი; სატვირთო და კომერციული მუშაობის ორგანიზაცია; სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვები; წარმოების ორგანიზაციის, შრომისა და მართვის კანონმდებლობის საკითხები; საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები; შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხები; აცნობიერებს ცოდნის დამოუკიდებლად განახლების შესაძლებლობას. მათემატიკიდან – ინტეგრალი; საინჟინრო და კომპიუტერული გრაფიკიდან – ხაზის ელემენტები და კომპიუტერული გრაფიკის საფუძვლები; რკინიგზის მენეჯმენტიდან – რკინიგზის მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები; ინფორმატიკიდან – ინფორმატიკის საფუძვლები რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობაში. რკინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებიდან – სამანევრო და სამატარებლო მუშაობასთან დაკავშირებული რკინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის წესების ძირითადი დებულებები; შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვიდან – სარკინიგზო ტრანსპორტზე შრომის უსაფრთხოებასთან და ეკოლოგიასთან დაკავშირებული ძირითადი დებულებანი; სატვირთო და</p>
------------------------------	---	--

		<p>კომერციული სამუშაოების მართვიდან რკინიგზის ტრანსპორტზე – ადგილობრივი და საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაცია; რკინიგზის სადგურები და კვანძებიდან – დამხარისხებელი მოწყობილობების ტიპები და დამხმარე მოწყობილობები; ავტომატიკა, ტელემექანიკა და კავშირგაბმულობიდან რკინიგზის ტრანსპორტზე – სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების მოწყობილობათა მუშაობის პროცესი; რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის მართვიდან – რკინიგზის სადგურებისა და უბნების მუშაობის ორგანიზაცია; მატარებელთა წევის მეურნეობიდან – ელმავლის მიერ განვითარებული წევის ძალის განსაზღვრა, მატარებლის მასის ნორმების დადგენა; რკინიგზის სატრანსპორტო საშუალებებიდან – ვაგონებისა და ლოკომოტივების კონსტრუქციები და მათი რაციონალური გამოყენება.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>ორგანიზებას უწევს რკინიგზების ტექნიკურ და კომერციულ ექსპლუატაციას; უზრუნველყოფს სადგურებში მატარებელთა მიღებას, გაგზავნასა და გატარებას, მარშრუტების მოსამზადებელი ოპერაციების შესრულებას; მისი განკარგულებით ხორციელდება ტექნიკური, სატვირთო, კომერციული, სამგზავრო და სამანევრო ოპერაციების წარმოება; ახორციელებს მის მიერ გაცემული განკარგულების შესრულების სისწორეს მართვის ხელსაწყოების საშუალებით ან მის დაქვემდებარებაში მყოფ მუშაკთა მოხსენების საფუძველზე; ამყარებს ოპერატიულ კავშირებს მეზობელი სადგურის მორიგესთან, სამატარებლო დისპეტჩერთან, სამატარებლო და სამანევრო ლოკომოტივების მემანქანებთან; უზრუნველყოფს მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობის განხორციელებას მოძრაობის გრაფიკის შესაბამისად; შეუძლია მატარებელთა მოძრაობის ორგანიზაციის განხორციელებასთან დაკავშირებული სამატარებლო საბუთებისა და ფორმების წარმოება; ასრულებს მატარებელთა განფორმირებისა და ფორმირების წარმოებას; ახდენს ფორმირებული მატარებლის შემადგენლობის ტექნიკურ და კომერციულ დათვალიერებაზე წარდგენას და მის მზადყოფნაზე კონტროლის განხორციელებას. შეუძლია მათემატიკიდან – მათემატიკური აპარატის გამოყენება რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობაში; საინჟინრო დაკომპიუტერული გრაფიკიდან – ნახაზების წაკითხვა და კომპიუტერული აგება; რკინიგზის მენეჯმენტიდან – ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებანი; ინფორმატიკიდან – სარკინიგზო ტრანსპორტზე ერთიანი კოდირების სისტემის რეალიზაცია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; რკინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებიდან – რკინიგზის ცალკეული ქვედანაყოფების მართვითი უნარ-ჩვევების შექმნა; სატვირთო და კომერციული სამუშაოების მართვიდან რკინიგზის ტრანსპორტზე – გადაზიდვითი პროცესის საექსპლუატაციო საიმედოობის ამაღლება; რკინიგზის სადგურები და კვანძებიდან – გორაკიან სადგურებზე განფორმირება – ფორმირების სამუშაოებს წარმოება; ავტომატიკა, ტელემექანიკა და კავშირგაბმულობა რკინიგზის ტრანსპორტზე – სამანევრო და სამარშრუტო სიგნალები სადგურებში; რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის მართვიდან – სასადგურო, სამანევრო და სამატარებლო დისპეტჩერების მუშაობა; მატარებელთა წევის მეურნეობიდან – მოძრაობის სიჩქარეების დადგენა მატარებელთა წევის დროს.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია პრობლემატური საკითხების ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; სასადგურო მოწყობილობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება; შექმნილი ოპერატიული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე სათანადო დასკვნების გაკეთება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის</p>	<p>შეუძლია იდეებისა და საკვანძო საკითხების შესახებ ინფორმაციის თანმიმდევრულად და სტრუქტურირებულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრების გამოყენებით; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სრულყოფილად გამოყენება; უცხო ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>

	გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია საკუთარი შედეგების შეფასება, ცოდნის დონის ამაღლების საჭიროების განსაზღვრა, მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; სისტემატიურად ეცნობა მეცნიერების უახლეს მიღწევებსა და თანამედროვე ინტენსიურ ტექნოლოგიებს პერიოდული გამოცემებისა და ინტერნეტის საშუალებით.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	გაცნობიერებული აქვს საქმიანობის სფეროს მნიშვნელობა; მკაცრად იცავს და სხვებსაც მოუწოდებს დაიცვან უსაფრთხოების წესები; საქმიანობისას მოქმედებს და სხვებსაც მოუწოდებს იმოქმედოს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისად.

VIII. დასაქმების სფერო:

შუალედური, საუბნო, დამხარისხებელი, სატვირთო და სამგზავრო სადგურების მუშაობის ორგანიზება და მიმდინარე სატრანსპორტო პროცესების ოპერატიული მართვა; ტექნიკური სადგურების ცალკეული ქვესისტემების სტრატეგიული მართვა, ოპერატიული სიტუაციების კონიუნქტურის გათვალისწინებით; რკინიგზის უბნებზე მატარებელთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გატარების უზრუნველყოფა.

IX. სწავლის შედეგების რუქა

საგნები	კოდი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ინგლისური ენა B2	ENG5P07	X	X		X		
ინფორმატიკა 2	INF2P08	X	X		X		
რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობა - 1	PROAA05	X	X	X		X	X
ერთიანი სატრანსპორტო სისტემის საფუძვლები	PBIRS05	X	X	X			X
სარკინიგზო მოძრავ შემადგენლობა თა ტექნიკური მომსახურება	PABRS05	X	X	X		X	X
რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობა - 2	PROAB05	X	X	X		X	X
დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები რკინიგზის ტრანსპორტზე	PHORT05	X	X	X		X	X
სარკინიგზო მოძრავ შემადგენლობა თა ავტომატური მუხრუჭები	PTMRR05	X	X	X		X	X
მატარებელთა წევის მეურნეობა	PTTFA05	X	X	X		X	X
ავტომატიკა, ტელემექანიკა და	PATCR05	X	X	X		X	X

კავშირგაბმული ობა რკინიგზის ტრანსპორტზე								
საკვალიფიკაციო ნაშრომი	X	X	X	X	X	X	X	X
სასწავლო პრაქტიკა	X	X				X	X	X
საწარმოო პრაქტიკა		X				X	X	X

X. სასწავლო გეგმა

I სემესტრი

ს ა გ ნ ე ბ ი	კოდი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა					სულ საათების რაოდენობა	
			საკონტაქტო საათები						
			ლექცია/პრაქტიკული /სემინარი	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/ დასკვნითი შეფასება		დამოუკიდებელი საათები
ინგლისური ენა B2	ENG5P07	5	/60				6/2	57	125
ინფორმატიკა 2	INF2P08	5	/60				6/2	57	125
რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობა - 1	PROAA05	8	30/15		100		6/2	47	200
ერთიანი სატრანსპორტო სისტემის საფუძვლები	PBIRS05	6	15/15		100		6/2	12	150
სარკინიგზო მომრავ შემადგენლობათა ტექნიკური მომსახურება	PABRS05	6	30/		100		6/2	12	150
სულ		30	225		300		30/10	185	750

II სემესტრი

ს ა გ ნ ე ბ ი	კოდი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა					სულ საათების რაოდენობა	
			საკონტაქტო საათები						
			ლექცია/პრაქტიკული /სემინარი	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/ დასკვნითი შეფასება		დამოუკიდებელი საათები
რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობა - 2	PROAB05	8	30/15			110	6/2	37	200
დატვირთვა- გადმოტვირთვის სამუშაოები რკინიგზის	PHORT05	6	15/15			100	6/2	12	150

ტრანსპორტზე									
სარკინიგზო მოძრავე შემადგენლობათა ავტომატური მუხრუჭები	PTMRR05	5	15/			90	6/2	12	125
მატარებელთა წიგის მეურნეობა	PTTFA05	3	15/15				6/2	37	75
ავტომატიკა, ტელემექანიკა და კავშირგაბმულობა რკინიგზის ტრანსპორტზე	PATCR05	3	15/	15			6/2	37	75
საკვალიფიკაციო ნაშრომი		5	/60				6/2	57	125
სულ		30	195	15		300	36/12	192	750

შენიშვნა:

სასწავლო სემესტრი 20 კვირიანია:

15 კვირა სასწავლო პროცესისათვის, 3 კვირა შუალედური შეფასებებისათვის, 2 კვირა გამოცდისათვის და განმეორებითი გამოცდისათვის.

მე-18 კვირა III შუალედური შეფასებისათვის;

მე-19 კვირა გამოცდისათვის, მე-20 კვირა განმეორებითი გამოცდისათვის (აუცილებელი 10 დღიანი ინტერვალის დაცვით).

თითოეულ საგანში შეფასებებისათვის განკუთვნილი დრო - 8 საათი.

1. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და არა აქვთ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

გამოცდა - 2 სთ. თეორია;

2. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და მხოლოდ სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა).

XI. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- სასწავლო პრაქტიკას;
- ტესტების ჩაბარებას;
- გამოცდების ჩაბარებას.

XII. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასების ზოგადი წესები:

ხუთი სახის დადებით შეფასება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასება:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- **(F)**- ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი გამოცდის შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტირება;
- წერიითი დავალება
- ანგარიში/პრეზენტაცია

(სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები იხილეთ სასწავლო კურსის სილაბუსებში და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის დღიურებში (დანართი 1, დანართი 2))

XIII.სწავლების ფორმები:

თეორიული სწავლება;
პრაქტიკული მეცადინეობა;
საწარმოო პრაქტიკა.

სწავლის მეთოდები:

ჯგუფური მუშაობა; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; წერიითი მუშაობის მეთოდი; პრაქტიკული მეთოდი.

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ინგლისური ენა B2	მაია დევრისაშვილი	ინგლისური ენის პედაგოგი
ინფორმატიკა 2	ელენე ოქრომელიძე	ინჟინერ-ელექტრიკოსი
რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობა - 1	გრიგოლ თელია ბეჟან დიდებაშვილი	მიმოსვლის გზათა ინჟინერი რკინიგზის ექსპლუატაციის დარგში მიმოსვლის გზათა ინჟინერი რკინიგზის ტრანსპორტზე გადაზიდვის პროცესების მართვის დარგში
ერთიანი სატრანსპორტო სისტემის საფუძვლები	ჯემალ მორჩილაძე პეტრე ქენქაძე	ინჟინერ-ეკონომისტი მიმოსვლის გზათა ინჟინერი რკინიგზის ექსპლუატაციის დარგში
სარკინიგზო მოძრავ შემადგენლობათა ტექნიკური მომსახურება	რომან მორჩილაძე მეგი პატურაშვილი	მიმოსვლის გზათა ინჟინერ-მექანიკოსი ინჟინერ-მექანიკოსი
რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობა - 2	გრიგოლ თელია ტარიელ კოტრიკაძე	მიმოსვლის გზათა ინჟინერი რკინიგზის ექსპლუატაციის დარგში მიმოსვლის გზათა ინჟინერი რკინიგზის ტრანსპორტზე

		გადაზიდვის პროცესების მართვის დარგში
დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები რკინიგზის ტრანსპორტზე	ზაზა მესხიძე სერგო შარაშენიძე	მიმოსვლის გზათა ინჟინერი რკინიგზის ტრანსპორტზე გადაზიდვის პროცესების მართვის დარგში ინჟინერ-მექანიკოსი
სარკინიგზო მოძრავ შემადგენლობათა ავტომატური მუხრუჭები	ქართლოს ალადაშვილი დავით გოგიშვილი	მიმოსვლის გზათა ინჟინერ-მექანიკოსი მიმოსვლის გზათა ინჟინერ-მექანიკოსი
მატარებელთა წევის მეურნეობა	ჯონდო სანიკიძე	მიმოსვლის გზათა ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი
ავტომატიკა, ტელემექანიკა და კავშირგაბმულობა რკინიგზის ტრანსპორტზე	მერაბ გოცაძე ნინო კვაჭაძე	მიმოსვლის გზათა ინჟინერ-ელექტრიკოსი მიმოსვლის გზათა ინჟინერ-ელექტრიკოსი
საკვალიფიკაციო ნაშრომი	პეტრე ქენჭაძე გრიგოლ თელია ზაზა მესხიძე რომან მორჩილაძე ჯემალ მორჩილაძე ქართლოს ალადაშვილი ბეჟან დიდებაშვილი ტარიელ კოტრიკაძე	მიმოსვლის გზათა ინჟინერი რკინიგზის ექსპლუატაციის დარგში მიმოსვლის გზათა ინჟინერი რკინიგზის ექსპლუატაციის დარგში მიმოსვლის გზათა ინჟინერი რკინიგზის ტრანსპორტზე გადაზიდვის პროცესების მართვის დარგში მიმოსვლის გზათა ინჟინერ-მექანიკოსი ინჟინერ-ეკონომისტი მიმოსვლის გზათა ინჟინერ-მექანიკოსი მიმოსვლის გზათა ინჟინერი რკინიგზის ტრანსპორტზე გადაზიდვის პროცესების მართვის დარგში მიმოსვლის გზათა ინჟინერი რკინიგზის ტრანსპორტზე გადაზიდვის პროცესების მართვის დარგში

XV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარკინიგზო გადამზიდვის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

ლაბორატორიები - სარკინიგზო ავტომატიკის, ტელემექანიკის და კავშირგაბმულობის სკოლა, აუდ. 704; რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის მართვის სკოლა, აუდ. 450.

სარკინიგზო გადამზიდვისათვის საჭირო თვალსაჩინოებანი და სადემონსტრაციო მასალა (პრეზენტაციები და ვიდეოფილმები).

XVI. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა

მემორანდუმი (იხ. დანართი 3)

XVII. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად

პროგრამის ხელმძღვანელი	ავთანდილ შარვაშიძე
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	მანანა მოისწრაფიშვილი
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი	ოთარ გელაშვილი

მიღებულია

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე №1
20 სექტემბერი 2013 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ოთარ გელაშვილი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურთან

გიორგი ძიმიგური